

პრესრელიზი

„ბჟუჟაჰესზე“ მასშტაბური სარემონტო სამუშაოები განხორციელდა



„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ კუთვნილ „ბჟუჟაჰესზე“ მასშტაბური სარემონტო სამუშაოები დასრულდა. გატარებული ღონისძიებებისა და ჩატარებული სამუშაოების შედეგად ჰესი მომდევნო 15 წლის განმავლობაში შეუფერხებლად შეძლებს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის გამომუშავებული ელექტროენერჯით მომარაგებას.

ოზურგეთში, სოფელ გომში მდებარე „ბჟუჟაჰესზე“ მაღალი წნევის, სადაწნოს მილსადენის რეაბილიტაცია განხორციელდა. შესრულებული სამუშაოს ფარგლებში

მოხდა, მთლიანი ზედაპირის სილაჭავლური მეთოდით დამუშავება, კოროზირებული უბნების აღდგენა და ორკომპონენტური ჰემპელის ფირმის საღებავით ანტიკოროზიული საფარის დატანა.

აღნიშნული ჰიდროელექტროსადგური 1956 წლიდან არის ექსპლუატაციაში და მისი ოპერირების 60 წლიან პერიოდში მსგავსი მნიშვნელობის მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები მაღალი წნევის მილსადენზე პირველად განხორციელდა. „ბჟუჟაჰესი“ „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ კუთვნილებას 2005 წლიდან წარმოადგენს.

კორპორაცია” (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

